სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

30603499953826

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261580665

რეგისტრაციის თარიღი

09.11.2026 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია
მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41
ტელეფონი: მობილური 599 19 64 09

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ცხრა ნოემბერს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვ/ფშაველას გამზირი 41-ში, მომმართა თენგიზ გასვიანმა რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **სოსო ბერიძეს** (დაბადებული 19.04.1990წ. პირადი # 01024053313, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 18ა, ბინა 50) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თენგიზ გასვიანმა (დაბადებული 28.10.1959წ. პირადი: № 01025008256, რეგისტრირებული: დ. ლენტეხი შ. რუსთაველის ქ. 11) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მან დაადასტურა რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, წინამდებარე მინდობილობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 18 (თვრამეტი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დღგ – 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

მინდობილობა

თენგიზ გასვიანმა შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი", **სოსო ბერიძეს**, შემდგომში წოდებული როგორც „მინდობილი პირი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:
მასზედ, რომ მინდობილმა პირმა წარადგინოს თენგიზ გასვიანი მის თანასაკუთრებაში არსებულ, ს/კ: 01.15.04.003.051 მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან (მათ შორის და არა მხოლოდ: სსიპ „არქიტექტურის სამსახური", სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო") ურთიერთობაში.

კერძოდ, მინდობილ პირს ენიჭება უფლებამოსილება, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, B6-B7 და B1-დან B5-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვების მოპოვებისა ან/და მათში კორექტირების/ცვლილების მიზნით, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, ჩააბაროს მიიღოს შესაბამისი დოკუმენტაცია და განახორციელოს საამისოდ საჭირო სხვა ღონისძიებები.

მინდობილობა გაცემულია იმ პირობით, რომ სსიპ „არქიტექტურის სამსახურის" 15/07/2026 წლის №8004426 ბრძანების საფუძველზე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში შენობა-ნაგებობა B1-ში, 14.40 ნიშნულზე მდებარე, 100.16 კვ.მ ფართობის, თენგიზ გასვიანისთვის გადასაცემი კომერციული ფართის მონაცემები არ შეიცვლება და იგი შეესაბამება წინამდებარე მინდობილობაზე თანდართულ სართულებრივ გეგმაზე შესაბამისი ფართისთვის მოცემულ მაჩვენებლებს. აღნიშნულ კომერციულ ფართში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია თენგიზ გასვიანის დამატებითი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე.

- აღნიშნული მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

- ეს მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თვის ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია


თენგიზ გასვიანისთვის
გადასაცემი ფართობი